ფინედუ

ფინანსური განათლება

ფინანსების მცველები



ფინედუ

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

კომიქსი შექმნილია საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური
განათლების პლატფორმა „ფინედუს“ ინიციატივით.

პარტნიორები:

თიბისი
პრიერო ბანკი
ლიბერთი
ემბასი მიკრო ბანკი

პროექტის ავტორები: ნინი ჩიქოვანი, ნაუ სონღულაშვილი
ტექსტის ავტორი: ნათია ჟიჟავაძე
ილუსტრატორი: სოფო კირთაძე
დიზაინერი: ზურა მჭედლიშვილი
რედაქტორი, კორექტორი: ესმა მანია

© თამაშობანა, 2025
ყველა უფლება დაცულია

შპს „თამაშობანა“
მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ, 14
ელ. ფოსტა: info@tamashobana.ge

ფინანსური განათლების ვებგვერდი: www.finedu.gov.ge
ელ. ფოსტა: info@finedu.gov.ge

ფინანსების მცველები



ფინანსების მცველები

ფინანსური უსაფრთხოება - ეს არის მდგომარეობა, როდესაც ჩვენი ფული და პირადი ინფორმაცია დაცულია და ჩვენი ნებართვის გარეშე არავის შეუძლია მათი გამოყენება. როგორც ვიცავთ ჩვენს პირად ნივთებს, მაგალითად, წიგნებს, ტელეფონს ან თამაშებს, სწორედ ისევეა საჭირო, დავიცვათ ჩვენი ფინანსური რესურსები. ეს ნიშნავს, რომ ფულზე, ბარათებსა და ანგარიშებზე ზუსტად ისევე უნდა ვიზრუნოთ, როგორც ჩვენი საყვარელი ნივთების უსაფრთხოებაზე.





როგორ ვიქცევით ყოველდღიურ ცხოვრებაში?

როცა სახლიდან გავდივართ, კარს ვკეტავთ, ფულს ისე ვათავსებთ ჩანთაში, რომ არ ჩანდეს, უცნობებს არ ვუმხელთ ჩვენს მისამართს. ვიცით, რომ ჩვენი ნივთები ჩვენი საკუთრებაა და თუ გვინდა, არ დაიკარგოს, არ წაგვართვან, უნდა დავიცვათ. სიფრთხილე და კონტროლი ფინანსური უსაფრთოხების საფუძვლებია.





როგორ ვიქცევით ინტერნეტში?

ინტერნეტი ცალკე სამყაროა, სადაც ბევრი რამ ხდება. ის ჰგავს დიდ ქალაქს, სადაც ვიმყოფებით ჩვენ, ჩვენი მეგობრები და ბევრი უცნობი. ვყიდულობთ ნივთებს, ვთამაშობთ, ვიყენებთ ბანკის აპლიკაციას, ვიღებთ შეტყობინებებს... ონლაინ სამყაროში ისეთივე სიფრთხილეა საჭირო, როგორიც რეალურ ცხოვრებაში, ხანდახან მეტიც. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, როგორ დავიცვათ თავი. ჩვენი ბარათის ნომერი და პინკოდი ისეთივე საიდუმლოა, როგორიც ჩვენი დღიური და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე Roblox-ის პაროლი. არ უნდა მივცეთ უცნობს წვდომა ჩვენს ანგარიშებზე, ბარათსა და პაროლზე. თუ ვებგვერდი უცნობია და არ ვართ დარწმუნებული, რომ უსაფრთხოა, არ უნდა შევიყვანოთ ბარათის მონაცემები, ბარათის პინკოდი არ ვაჩვენოთ სხვას.

ონლაინ სამყაროში უნდა ვიმოქმედოთ ისევე ფრთხილად, როგორც ქუჩაში. არ უნდა ვენდოთ ყველას, არ უნდა გავუზიაროთ უცნობებს პირადი ინფორმაცია. ქუჩასა და ინტერნეტში ერთი და იგივე წესები მოქმედებს, არ უნდა ვესაუბროთ უცნობს.

ინტერნეტში საკუთარი მონაცემების დაცვას კიბერუსაფრთხოება ჰქვია.

თომას და მართას ფინედუს სხვა კომიქსებიდან იცნობთ. წელს თომას მნიშვნელოვანი მიზანი აქვს. მას ძალიან უნდა სკოლის ეზოში სპორტული კუთხის მოწყობა, რაც საკმაოდ დიდი საქმეა და სხვა ადამიანების ჩართულობას, ასევე დაფინანსების წყაროების მოძიებას მოითხოვს. ამისთვის თომამ უნდა გამოიყენოს ინტერნეტი, რათა რაც შეიძლება მეტ ადამიანს მიაწვდინოს ხმა შემოწირულობების შესაგროვებლად და მხარდაჭერის მოსაპოვებლად. მართა კი, როგორც ყოველთვის, მისი ერთგული თანაგუნდელია.


მართა! გცალია? რაღაც იდეა მაქვს და შენი დახმარება მჭირდება.
კი, ამოდი!
მართა, კარგა ხანია მეფიქრება, ძალიან მოძველდა ჩვენი სკოლის სპორტული დარბაზი და მის კეთილმოწყობაში ხომ არ შეგვეტანა ჩვენი წვლილი?
რას ფიქრობ, დაფინანსება რომ მოვიზიდოთ, შეგვიძლია ინტერნეტი გამოვიყენოთ ამ ინფორმაციის გასავრცელებლად და შემოწირულობების მისაღებად.
რა კარგი იდეაა! ყველას როგორ გაუხარდება!

თომას თვალები უციმციმებს, სწრაფად იღებს ტელეფონს და ეძებს ფულის შეგროვების, ე.წ. ფანდრაიზინგის ვებგვერდებს. ცდილობს იპოვოს საუკეთესო პლატფორმა, რომლის საშუალებითაც შეძლებს სკოლის სპორტული დარბაზისთვის თანხის შეგროვებას.

არ გააზიარო ონლაინ სივრცეში არაფერი, რასაც არ გააზიარებდი სასკოლო დაფაზე. წარმოიდგინე, მთელი სკოლის წინ დებ შენი სახლის მისამართს, ტელეფონის ნომერს ან შენს პირად ფოტოებს. გააკეთებდი ამას?
თომა: 5331234
რა თქმა უნდა, არა!
ნამდვილად! ინტერნეტი ბევრად დიდი დაფაა. რაც ერთხელ ონლაინ მოხვდება, სამუდამოდ იქ რჩება და ნებისმიერს შეუძლია ნახოს.
მართალი ხარ. ჩემი ენთუზიაზმის გამო კინაღამ სისულელე ჩავიდინე.

არასოდეს გააზიარო შენი სახლის მისამართი, ტელეფონის ნომერი ან შენი და შენი მშობლების პირადი ინფორმაცია საჯაროდ

თომა კვლავ ლეპტოპში იხედება, მაგრამ ამჯერად გაცილებით ფრთხილად, რადგან გააცნობიერა, რომ პირადი ინფორმაციის გაზიარება ძალიან საფრთხილო საქმეა.



ფულისა და ინფორმაციის დაცვის 5 წესი:

1. არავის გაუმხილო ბარათის მონაცემები
2. არ გადახვიდე უცნობებისგან გამოგზავნილ ბმულზე.
3. შეინახე პაროლი უსაფრთხოდ.
4. ყოველთვის გადაამოწმე, ვინ გწერს.
5. დაიხმარე უფროსები ან მეგობრები ყოველთვის, როცა ეჭვი გეპარება.

თომა და მართა ფანდრაიზინგის პლატფორმაზე რეგისტრაციის ბოლო საფეხურზე არიან. თომა წარმატებით ქმნის ანგარიშს.

ესეც ასე! თითქმის დავასრულეთ!
თომას ტელეფონი შეტყობინების ხმას გამოსცემს.
2:19
Gilocav! Sheni გვერდი მზად არის. გთხოვ, დაადასტუროთ შენი ანგარიშის დეტალი ამ ბმულზე, დავიწყოთ მონეტების მიღება.
ნახე! როგორც ჩანს, ჩვენი ანგარიში მზად არის! უნდა დავადასტურო ჩემი დეტალები.
თომა ბმულზე ხელის დაჭერას აპირებს, თუმცა მართა აჩერებს
მოიცადე! შეამოწმე, ვინ არის გამომგზავნი - ნამდვილი ელექტრონული ფოსტის მისამართია?

თომა უყურებს ელექტრონული ფოსტის მისამართს. ის გრძელია, უცნაური სიმბოლოებით სავსე და არაფრით ჰგავს ოფიციალური პლატფორმის დასახელებას.



როგორ უნდა იცნო თაღლითური შემოთავაზება და რა შემთხვევები უნდა ჩათვალო საეჭვოდ:

1. შეტყობინება უცნობი პირისგანაა.
2. შეტყობინება გპირდება სწრაფ სარგებელს.
3. შეტყობინების გამომგზავნი გთხოვს პირად მონაცემებს.
4. შეტყობინების მისამართი ჰგავს ნაცნობ ვებგვერდს, თუმცა სახელში გამოყენებულია სხვა ასოები ან შეცდომები აქვს.
5. შეტყობინება შეიცავს უცნაურ ან უცხო ბმულებს.

თავისი იდეის განხორციელებით კმაყოფილ თომას დაღლილობისგან ჩაეძინება.
შეამოწმე შენი ფოტოები ამ ვებგვერდზე! მეგობრები გჯორავენ. (frlink.fake-site.com).
რაა? ჯორები ჩემზე? ფოტოები?
შეიყვანე პაროლი, რომ ნახო ინფორმაცია.
OK
შენ დაგაგვიანდა, უკვე ყველამ ყველაფერი იცის.
შენ დააგვიანე
უკვე ყველამ ყველაფერი იცის!!

თომა შეშინებული იღვიძებს.
კიდევ კარგი სიზმარი იყო

მართა ეზოში ზის და ფინანსურ რუკაზე მუშაობს. თომა გვერდით ჩამოუჯდება.


ნახე, მართა, უკვე დაიწყო ჩვენმა ანგარიშმა მუშაობა, 75 ლარი გვაქვს ანგარიშზე! და კიდევ, იმდენი ვილაპარაკეთ ფიშინგზე, რომ, მგონი, სულ ფიშინგი დამესიზმრება ამიერიდან. გუშინაც ეგ ვნახე სიზმარში.
სიზმარში ხშირად ჩნდება ის, რამაც დღის განმავლობაში შეგაშინა. როცა იცი, ასეთ დროს როგორ უნდა იმოქმედო, საშიშიც არაფერია.


ხოო, სიზმარში ვერ გავართვი თავი, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში შემიძლია.
იმ შემთხვევაში, თუ ონლაინ თაღლითობის მსხვერპლი გახდი, მაშინვე უნდა მიმართო უფროსებს. რა შენი ბრალია, თაღლითები ძალიან ჭკვიანები და გამოცდილები არიან. უფროსები შესაბამის ზომებს მიიღებენ.

მართამ და თომამ იციან, ფინანსური მიზანი სიფრთხილის გარეშე რისკში იკარგება.
ახლა შენი ჯერია, შეგიძლია ჩამოწერო სამი გზა, როგორ დაიცავ შენს პირად ინფორმაციას, ფოტოებს და ფულს ონლაინ სივრცეში?

1. ჩამონათვალი კიბერ-საკითხებზე

შეამოწმე შენი ჩვევები ონლაინ სივრცეში:

კითხვა	პასუხი: კი ან არა
1. არასოდეს ვაზიარებთ ტელეფონის ნომერს, ვინაობას, მისამართს ან სკოლას ინტერნეტში/ონლაინ?	
2. მაქვს ძლიერი პაროლი?	
3. ჩემი პაროლს სჭირდება ორმაგი დადასტურება?	
4. ვამოწმებ ბმულებს და ფაილებს გადმოწერამდე?	
5. ვეკითხები უფროსს/მშობელს, თუ ონლაინში რაღაც საეჭვოა?	

·ᲡᲔᲜᲘᲨᲕᲜᲘᲗ ᲒᲘᲠᲩᲔᲗᲐ ᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲨᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲔ ‘„ᲙᲘ“ ᲐᲜᲘᲡᲘᲠᲔ ᲙᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘᲡᲐᲜ ᲒᲘᲚᲔ ᲐᲨᲜᲘᲡ ᲜᲘᲨ :ᲙᲘᲚᲘᲡ

2. პაროლების სიძლიერე

სუსტი და ძლიერი პაროლების შედარება:

სუსტი პაროლი	ძლიერი პაროლი
123456	SoccerR0ck$2025
gionino	mEd@chemimEgobar!72
ilovetbilisi	!l0vetbilisi_8*

3. „გაზიარება - დასაშვებია თუ არა“

გაზიარება შეიძლება	გაზიარება არ შეიძლება
საყვარელი სპორტი ან ჰობი	საცხოვრებელი მისამართი
სახელი (მხოლოდ საკუთარი)	საკუთარი, ან ოჯახის წევრების ტელეფონის ნომერი
ნახატები, პროექტები	პაროლი
სკოლის ფანდრაიზინგის მიზანი	გაკვეთილრბის განრიგი

4. როგორ დავიცვათ თავი ონლაინ სივრცეში:

- ყურადღება მიაქციე გამომგზავნს და ბმულს! — ხშირად იგზავნება ყალბი წერილები, რომლითაც სურთ პირადი ინფორმაციის მოტყუებით მიღება

- შემოთავაზებული ჯილდო ან მოგება ძალიან მარტივი და ხშირად მომხიბვლელი ჩანს, თუმცა ნამდვილი არ არის! — „მიიღებთ პრიზებს“ ან „მარტივად გამდიდრდებით“

- არასოდეს გაუზიარო პირადი ინფორმაცია და არ შეხვდე უცნობს. — თაღლითები ზოგჯერ თავს თქვენს თანატოლად ასაღებენ

5. 5 კიბერრჩევა

1. გააზიარე მოსაზრებები, იდეები, მაგრამ არა პირადი ინფორმაცია.
2. გამოიყენე ძლიერი, უნიკალური პაროლები, ასევე პაროლის ორმაგი დადასტურება.
3. ყოველთვის დაფიქრდი, სანამ დააჭერ ბმულს.
4. ენდე მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც რეალურ ცხოვრებაში იცნობ, თუმცა თუ პირადი ინფორმაციის გაცემის თხოვნას მიიღებ ახლობელი ადამიანისგან, უმჯობესია, დაურეკო და გადაამოწმო შეტყობინების ნამდვილობა.
5. თუ რამე უცნაურია, აუცილებლად ჰკითხე უფროსს.

6. თუ ონლაინ თაღლითობის მსხვერპლი გახდი, გახსოვდეს

- არ დააჭირო ბმულებს
- დახმარებისთვის მიმართე უფროსს
- სასწრაფოდ შეცვალე პაროლი
- შეატყობინე შესაბამის სამსახურებს

დამატებითი გვერდები:

ფინედუ

ფინედუ

ფინანსური თავისუფლება იწყება დაცვით. თუ გსურს, იყო თავისუფალი ინტერნეტშიც და ცხოვრებაშიც, პირველ რიგში, უნდა იცოდე, როგორ დაიცვა ის, რაც ასე მნიშვნელოვანია – შენი ფული, დრო და მიზნები.

დაფიქრდი: ვინ იცის შენი და შენი მშობლების ბარათის მონაცემები? საიდან იღებ შეტყობინებებს და როგორ არჩევ ნამდვილს ყალბისგან? როგორ მოიქცევი, თუ უცნობი ფულს გპირდება პაროლის სანაცვლოდ? როგორ პაროლებს იყენებ და რა სიფრთხილის ზომებს მიმართავ სოციალურ ქსელებში?

დროა, დაიწყო უსაფრთხოების წესების დაცვა!

მართა და თომა გიწვევენ ციფრულ მოგზაურობაში, იქ, სადაც ნამდვილმა მეგობრობამ, სიფრთხილემ და ცოდნამ შეიძლება მნიშვნელოვანი მიზნები გადაარჩინოს. ერთად გაიგებ, როგორ გაარჩიო ნამდვილი შეთავაზება თაღლითურისგან, როგორ დაიცვა პაროლები ისე, როგორც სახლის გასაღები და როგორ მოიქცე მაშინ, როცა ონლაინ სივრცეში შენი მონაცემები საფრთხეშია.

უსაფრთხოება არ არის შიში, უსაფრთხოება მზადყოფნაა.

9 789941 885631